

1  
1945

# ნიაზბე



№ 5, 1945 წ. თბილისი, გამომცემის ფული XXII.  
გამომცემლობა „კომუნისტი“.  
ფანი 2 მან.



ნახ. შ. ბერიტაშვილისა

ჯურგში შრომით, ფრონტზე ბრძოლით  
მხარში უდგას მუდამ ვაჟკაცს,—  
ძალიც უხსწევს ქაღილისა  
საბჭოეთის ქალთა ლაშქარს.



### ქიონია სარსანია

ახი ხელი გამოსხმია,  
ორის ნაცვლად სარსანიას,  
ახი ხელით ჩაისა კრეფს,  
არც ერთ ხელში არ სცალია.

ნორმას როგორ დაჯერდება,  
სახელს როგორ გაიფუჭებს,  
რეკორდები რეკორდს მიხდვს,  
თავს ევლება ჩაის ბუჩქებს.

### შუამდგომლობა ჩეკორდმენისადმი

ეს ერთი ხანია ნიანგი შორიდან აკვირდებოდა, თუ როგორი შურით იყო ადგსილი თბილისის ტრანსპორტი (ტრამვაი და ტროლეიბუსები) ჩვენი მორბენალების ლენა გოკიელისადმი. თბილისის ტრანსპორტი ყოველდღიურად უკლებდა სისწრაფეს და არა თუ ფინიშამდე მიდიოდა დროზე, არამედ მეტწილად შუაგ-წაზე ჩერდებოდა დაღლილ-დაქანცული. ლ. გოკიელი კი სისტემატურად აუმჯობესებდა თავის რეკორდს, არაფითარი დაბრკოლება არ აჩერებდა და ფინიშთან ყოველთვის განსაზღვრულ დროზე ადრე მიდიოდა.

ნიანგმა დააკმაყოფილა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის შუამდგომლობა და სთხოვა რეკორდსმენ მორბენალს ამხ. ლენა გოკიელს ბუქსირზე აიყვანოს ჩვენი დედაქალაქის ელექტროტრანსპორტი. ამჟამად ხდება ვარჯიხი ვაგონებისა და ტროლეიბუსების აღრიცხვა, რის შემდეგაც ნიანგი მოვიდა ამხ. გოკიელის თანხმობას, ან უარს (უფრო მოსალოდნელია თანხმობა, რადგან ვარჯიხის ვაგონი არც ისე ბევრია და ნიანგი დარწმუნებულია, რომ ამხ. ლ. გოკიელი შესძლებს მათ წაყვანას ბუქსირით).

## ოღერთან

იმ ადგილებში, სადაც ოდერი ტალღის ტრიალით მოჭრებს მღერტარი, მომხდურთ უტევდა თავგამოდებით ხუთი ქართველი ნასახელარი.

რა ბრძოლა შესძლეს, რა ვაჟკაცობა, ოდერთან განვლეს მათ გზა გმირული, ქართლში დღუდუნით მტკვარმა გვაცნობა იმათი საქმე თავგანწირული.

როცა შენედა ფოლადთა ქღერა და ბრძოლა წუთით მისწყდა მედგარი, გმირებს მოესმათ ქართულად მღერა, მომხიბლავ სიტყვებს სთვლიდა მხედარი.

ყური მიაპყრეს და გულმაც ძგერა დაუწყო როცა ხმა გაიგონეს, ყრქოლა მოგვარა ქართულმა ბგერამ, ვილაც მღეროდა ვაჟს სტრიქონებს.

ხუთი მეგრძოლი იდგა მადლობთან, შორს ისევ ბრძოლამ მთანი შენისლა, კაცი არავინ იქ არ სახლობდა, საიდან იყო ხმა სიმღერისა?

კიდევ მოესმათ და იქ გაჰქანდნენ, მოთმენა ვედარ შესძლეს გმირებმა, „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“.

თავზე წააწყდნენ დაჭრილ მეომარს, ჭრილობა აჩნდა მარჯვენა მხართან, სიტყვები კიდევ გაიმეორა, მათ შემოხედა და გაეხარდა.

მადლობა ღმერთსო, წარმოსთქვა გვიან, თუ მოგაგნით თავისიანთა, ოდერთან დამცა უნდობლად ტყვიამ, აი, მარჯვენაც დამიზინდა.

რაკი თქვენ შეგხვდით მე აღარ ვდარდობ, თან გამოგყვებით ბრძოლად გაშლილებს, ეხლა მახვილი ერთად აღემართოთ, მეც შეგძლებ თქვენთან დგომას მხარშივე.

ჰქუზდნენ კიდენი მდინარისანი გმირთა ყიყინა ტალღებს მოსდევდა, გულანთებულნი დიად მიზანით მტერს ეჭვსივენი დახვდნენ ოდერთან.

იყვნენ დუშმანზე ასჯერ მისულნი, მათი მახვილი არ იღუნება, ეჭვსი ქართველი ძმად შეფიცული, ძმად შეფიცული ხალხის გულებთან.

ირაკლი არაბული

## 1. ლაქვია

ბერლინის ქუჩაში ვილაც ტანსაცმელდაფლეთილი მოქალაქე მიაბიჯებს. წას ხელში მოზრდილი კეტი უჭირავს, რალაცას ჩიფჩიფებს. ცნობისმოყვარე მოქალაქენი უკან მისდევენ და უკვირდებიან.

— ჰაიტ გერმანია! — ყვირის კეტიანი მოქალაქე, — შენ განწირული ხარ... ბრ... ბრ... ჰიტლერმა დალუპვის კარამდე მიგვიყვანა... ბრ... ბრ... მალე ჰიტლერი, გებელსი, რიბენტროპი, ბრ... ბრ...

კეტიანს პოლიციელი დაეტაკა:

— რაებს ბოდავ, თუ იცი! — შეუყვირა მან და ზურგზე ჯოხი უთავაზა.

— რას ერჩით, გიჟია! — შენიშნა ერთმა გამვლელმა.

— სულელი ჯოხით არ მოკვებიანდება! — სთქვა მეორემ.

— სულელი!... გიჟი!... როდის იყო, რომ გიჟი და სულელი სიშარტლეს ლაპარაკობდა! — იწყინა პოლიციელმა და საცოდავ კეტიანს სეტყვასავით დააყოლა ჯოხი.

## 2. უოგოგრაუსის გასაჭირი

ფოტორეპორტიორ კრაუსს რედაქტორმა სასწრაფო დავალება მისცა:

— ჩვენმა გაზეთმა უნდა აჩვენოს ქვეყანას, რომ ქალაქის მცხოვრებთ სრულიადაც არ ეშინიათ რუსეთის ზარბაზნებისა. ჩამოუარე სახლებს, დაწესებულებებს და შეაგროვე ფოტო-დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ მშვიდად მუშაობენ და ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქენი.

ფოტორეპორტიორ კრაუსი ერთერთ დაწესებულებას მიაღდა.

— აქ უკვე სამი დღეა აღარავინ არ გახლავთ. გაასწრეს ქალაქიდან. — მიუგო მოხუცმა დედაკაცმა, რომელიც ორი ჯოხის დახმარებით დადიოდა.

კრაუსი საცხოვრებელ სახლს მიაღდა.

— მიაუ... — შემოჰქანავლა კატამ ღია კარებიდან.

— ჰავ... ჰავ... — ამოჰყეფა ძაღლმა ეზოდან.

მიხვდა კრაუსი რაშიც იყო საქმე. გზას გაუღდა.

შუადღემდე დარბოდა კრაუსი — ყველგან ასეთი მდგომარეობა დაუხვდა.

გადასწყვიტა რედაქტორისათვის შეეტყობინებინა თავისი გაჭირვება. ტელეფონი დარეკა რედაქციაში.


— ჰმ... რა გულუბრყვილო ყოფილხართ, რედაქტორმა ორი საათის წინ უშველა თავს, ქალაქიდან გაიქცა... — უპასუხა რედაქციიდან ცალფეხა დარაჯმა.

ბ. ივანოვილი



### ვერიკო ანჯაფარიძე

მე უნაზესს, ვინ არ მიცნობს,  
ხელთ მიპყრია კამელია,  
განა გზნება გამითავდა,  
განა ცეცხლი დამელია?!  
უცხო ქალი ვითამაშე  
უამრავი, ბევრად-ბევრი,  
მაგრამ ქართველ ქალის როლი  
არ მეღირსა შესაფერი.



### ბრმა მონადირენი

კაცს ეგონება მათ მნახველს—  
მწერებს დასდევნო ქორები,  
ლამაზ გოგონებს ქუჩებში  
იქერენ რეჟისორები,  
თვალი დაუდგეთ სურათის  
გადაღებებსაც და ავტორსაც,

ნეტავ რა თავში იხლიან  
მათ სილამაზეს მარტოხა—  
ჩვენი ეკრანის მშვენიერებს,  
ჩვენს სიამაყეს ნატოსა,  
იხე ვერ შეედრებიან  
როგორც ურემი—ავტოსა.

## ცხელი გული

ხილისა და ახალი ხორბლის სურნელით გაბრუნებული ზაფხულის შუადღე ზარბაზიანად იფშვნიბოდა. გვაღდა ქუჩაში ალხად ლივლივებდა.

შევირდებს სახელოვნობის წინ ფილაქნები სურა—  
ლიტრებით მოერწყათ, მაგრამ სუნთქვა მაინც სჭირდა.  
სიცხით დაოსებული ხალხი ჩრდილიანში მილაგებუ-

ლოდა.  
ხვატის ზუზუნში გოდებდავით გაბმით მოისმოდა:  
— შაი, ბოლოკი, ტარხუნა, წიწმაცი ვის გინდა-ათ!  
მუდამ მოფუსფუსე ბედურებიც დაცხრნენ. რიყის  
ქვით ნაგებ სახლთა აგურის ფაიებიან კედლის ღრუე-

ბში შეკრული მყუდროდ შეიკვებდნენ.  
შუა ქუჩაში ჩამწკრივებული იხვები საქმის კაცე-  
ბივით დინჯად მიბაჯბაჯებდნენ. განიერ ფერფლიან  
ფხვებს მტვერში მკვიდრად აღგამდნენ და განთქვა-  
მდე გატენილ ჩიჩახს ტანი წინ რომ არ გადაეძალა,  
უკან დიდკაცურად გადაბღენძილიყვნენ. რომელიმე  
მათგან ვალია, ან ბუზი ალაღბედად თუ ჩაუქროლე-  
ბდა, მყისვე ნისკარტს გაუკაპუნებდა. ამხანაგები უმალ  
ირგვლივ შემოებნეოდნენ და მზრუნველობით ეკითხე-

ბოდნენ:  
— რა მოხდა? ხომ არასა სკამო?—და მერე ისევ  
მწყობრად, დიდკაცურად მიბაჯბაჯებდნენ.

იხვები შედგნენ. გასაფრებულებმა თავი მაღლა  
ააღირეს, ერთერთს ყაყანიან რაღაც ამბავი აცნობეს.  
მახლობელ ეზოდან მოქნეული დვედის ტლაშუნი და  
ლანძღვა-თრევა ერთად მოესმათ.

— ეგვი შენა! კიდევ დამიბარებ? შე სულძალდო  
შენა!—და ამ სიტყვებით ეზოდან ჯორჯე ამხედრებული  
მღვდელი გაცეცხლებით გამოჩაქჩაქდა. წითლად გამო-  
სუნებული შავი ანაფორა ამ სიტყვები დაწლით თბი-  
ლად წაეკრა და ფხვდაფხვ დადევნებულ ორ ბიჭუნას  
გაცხარებით უტყვდა:

— გამაიარეთ! გამაიარეთ, თქვე გასატიებლებო,  
თქვენა!

იხვები დაფრთხნენ, გულგანთქილი კრიახით,  
ალიაქოთით ღობე-ყორეს აქეთ—იქით უთავბოლოდ ას-  
კდებოდნენ, დარბაისლური იერი ერთბაშად დაკარგეს.

— ხო ვთქვი, რო ვცემ მეთქი!—ბურტყუნებდა  
მღვდელი გაგულისებით.—ჰოოოდა, ეგვი ანგრე იყოს და  
დანარჩენიც მემრე ვნახოთ.

დუქნებიდან, სახელოვნობიდან ხალხი ხმაურზე  
გარეთ გამოცვივდა. აივნებზე, ბანებზე ქალ-ბაღლი  
გამოფინა. ფხვსაცმელების სახელოვნოდან ახალუხის  
დღმლოდმოდელი ჯეელი ოსტატიც გამოვიდა, ხმა-  
ურს მიაყურა, ერთხანს ასე იღვა, მერე სახელოვნოში  
ნირიანი დიმილით შებრუნდა. თურმე, ნუ იტყვით,  
აქაური დეკანოზი წერას ატანა. ტყვიაველი მღვდელი  
ზაქარია სამჯერ ქალაქში დაებარებინა, სამჯერ ორმო-  
ცი ვერსი აქეთ-იქით ეკეთებინა და სამჯერვე შინ გა-  
წბილებული გაებრუნებინა,—აქოდა დრო არა მაქვს,  
ხვალ შემოიარეო. მღვდელმა ერთხელ უთმინა, ორ-  
ჯერ უთმინა, მესამედ მოთმინებიდან გამოვიდა და  
თავისი ჯორის ალვირით იმდენი სცემა, სანამ სულზე  
არ მიაგდა.

ხალხმა ერთხანს იყაყანა, იცინა და, გული ბაასით  
რომ იჯერა, დაიშალა, ისევ ჩრდილიანში მილაგდა,  
ქუჩაში ისევ მყუდროება ჩამოვარდა.

ჯეელი ოსტატი მუშაობაში იყო გართული, რომ  
სახელოვნოს კართან გარედან ვიღაცის ყაყანი მოესმა:

— არა მაქვს—მეთქი! გაიგონეთ, რომ არა მაქვს!  
ფაფუ, გათავდა, გამაილია! ამოდენა ფული მე ვინ  
მომცა, რომ სუთ-სუთ ბიჭს წადები გიკეროთ! ქრი-  
სტიანები მაინც იყოთ, ეგ ტიელი, ეგა! ხატი თქვენ  
არა გწამთ და ჯვარი!

დარაბაც გაიღო.  
სახელოვნოში ვიღაცამ ორი ბიჭი მუჯლოგუნის  
კვრით სათითაოდ შემოყარა და მათ თან ის ტყვიავე-  
ლი მღვდელი გაცხარებით შემოჰყვა.

უფროსი ბიჭი კედელთან გაჯიუტებულად აიტუზა,  
უმცროსი მას იქვე გვერდით მორჩილად ამოუდგა.

— აი, ძმაგ!—დაიწყო მღვდელმა უბოდიშოდ.—ჯერ  
გამარჯვება იყოს და მერე საქმის თაბათი. რაღა ბე-  
ვრი გავაგრძელო და გავაჭიანურო, ბევრი ლაპარაკი  
მეც მეჯავრება და შენცა. ე ბიჭები, რომ ხედავ-  
ჩემია, ჩემია, თავი ნუ მამიკვდებია!—დაიკვნესა მან და  
მერე ერთბაშად მოათავა:—ეხლა შენთან მომიყვანია  
და შენ იცი, ამათვის ერთი შენებური რიგთან—პი-  
რიანი წადები უნდა შემიკერო.

— არხენიაღ, მამაო!—მოუჭრა ოსტატმა გრძელი  
სიტყვა მღვდელსა და დიმილით განაგრძო:—შენ დარ-  
დი ნუ გაქვს! იგეთები შევეკრო, რომ, მგონი, სუ  
თავისთავად დარბოდნენ.

ოსტატმა სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო,  
რომ მღვდელი ცეცხლშემონთბულივით აყვირდა:

— აი, ტა-ტა-ტა, თავისთავად არა, თავისთავად  
რათ მინდა!—და მერე ხმას უეცრად დაუწია:—იცი  
რა, ოსტატო? იგეთები შევერე, იგეთები, რომა ფხვებს  
სუ შეეკრათ. ისიც ეყოფათ რასაც დარბიან და ეხლა  
წადებმაც რომ თავისთავად ირბინონ, საღ წაა!

— კარგი, ეგრე იყოს.—დაჰყაბულდა ოსტატი.—ხე-  
ლობის საქმე არ არის?

— შაი, შენ კი იცოცხლე! ოქრო კაცი ხარ, ოსტა-  
ტო, ოქრო და სიტყვაც ოქროსი გაქვს. ეს ყველა-ყვე-  
ლა, მაგრამა, ხო იცი, მღვდელს ჯვარი უნდება და  
ხელსანს ფასი. ძვირად ნუ კი შემიკვრავ, აი!

— ეებს, მამაო, როდის გვივაჭრია, რომ ეხლა ვივა-  
კროთ? რაც შენი ნება იყოს, იგრე მოსტერ, ყველაფე-  
რზე ყაბულსა ვარ.

— აარა, ძმაგ, ყაბული—მაბული მე არ ვიცი. იფა-  
დაც უნდა შემიკერო, მაგარიც უნდა იყოს და ქუს-  
ლებშიც იგეთი ნალები უნდა დააკრა, რომ სცვიოთონ,  
სცვიოთონ, ვერ გასცვიოთონ. ჯორის ნალები დააკარ,  
ოსტატო, ჯორისა, თორემ მეტი აღარ შემიძლიან!  
სუთ თათარს გაძლება უნდა თუ არა? მეც ვუძღებ.  
სხვა რა ძალა მაქვს! სუთნივ ურჯულონი მაინც რამ  
გამოიყვანა შა? მექვსეცა მყავ, გოგოი, მაგრამ იმას  
სათვალავში არ ვაგდებ. იმასაც ვათხოვებ უნდა თუ  
არა! პატრონი უნდა თუ არა! ჰოოდა, აი, დაჯექ და  
ეხლა შენ თვითონ იანგარიშე რა დღეშიც ვიქნები,  
აშაი, ტა-ტა-ტა, რა დღეში ვარ!—კვნესოდა იგი  
თავმოსაწყვლებული და თან თავს აქეთ-იქით სინანუ-  
ლით იქნევდა:—სუთთავებს სუთი წყვილი ფხვსაცმელო  
უნდა, სუთი ხელი ტანისამოსი, სუთი ქუდი, სუთი  
შარვალი და სუთიც თითო ადლზე დაღებულ ბირი.  
სუმრობა საქმე ხო არ არის! ჯიბე კი ერთია, მემრე რა  
რომ მღვდლისაა, მაინც ერთია, მეც ერთი ვარ! შემე-  
მეთ, შემემათ, თქვე ურჯულოებო, და ის იქნება!—  
აყვირდა იგი მოულოდნელად, მაგრამ ბიჭებს აინუნ-

შიაც არ ჩაუგდიათ მისი ყაყანი. ეტყობოდათ ნაჩვე-  
ვი იყვნენ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

დემნა შენგელაია





— რა მეფელება? — ჩემმა ბავშვმა სამშაუროიანი გადაყლაძა!  
— ნუ სწუხარ, ეგ არაფერია, — ჩვენი [საწყობის გამგემ სამი ათასი გადაყლაძა, მაგრამ თავს მაინც მშვენივრად გრძნობს.

ახალი ანდაზები

1. ქაჩალი არტელის თავმჯდომარედ დააყენეს და ხავარცხლის წარმოება გააუქმაო.
2. ცომი ჰური რბილია, მაგრამ ჰურისმცხოვლის ჯიბეს ამგვრებსო.
3. ბუნჯის ენა რადიომ იცისო.
4. ცოლ-ქმრის ჩხუბი მოსამართლეს გაურა ეკონაო.
5. კითხვა-კითხვით, კაცმა „საქცნობის“ კიოსკი იპოვნაო.

ახალი გამოხანაბი

1. აგხადე ფირფიტელასა, დაფხედე ნაგავ-ხმელასა. (კბილის პახტა).
2. ღრიტინ-ღრიტინ ავქსენტიო, დამეზარა, გაფერდიო. (კახეთის მატარებელი)
3. ხელთ უპერია დიდი ცოცხი. „ფხიკი, ფხიკი, არმენაკა“. ცხვირში მტვერი მომბოლა, — მისი სახე არ მენახა. (მეფოვე)
4. მებაღეს ხილი არ ჰქონდა, სხვებს გასაყიდად დაჰქონდა. (ხარეწაო არტელების მიერ გამოშვებული პაპიროსის ქალაღდი)

შეკრიბა გიამ

— რა არის ეს, რას გაგს ეს? თითქმის ყოველ თვეში ვიკვრავ კაბას და აქამდე ვერაფრით ვერ გასწავლეთ, რომ მე არ მიყვარს ასეთი ნაოქმისმული კაბები. ასეთი კაბა უნდა ჩაიცვას რომელიმე ჯოჯომ, რომელსაც ულამაზო ნაკეთები ჰქვას და დამალვა ესაჭიროება. მე კი რათ მინდა, აბა რა მაქვს დასწრული როგორც მარმარილოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება, ისეთი ტანი მაქვს, თქვენ კი სტინტად მიგდებთ თუ რა არის? თითქმის ჯავახი დედაკაცი ვიყო, გაუნათლებელი, უბრალო ქალი! დაარღვიეთ მალე და გადააკეთეთ ისე, როგორც ამას წინად, გახსოვთ, საზეიმო სხდომისათვის, რომ შემეკრეთ კაბა. იმდაგვარი მეორე კი აღარ მინდოდა, მაგრამ თქვენ გადამიკიდეს მეტი რა გზა მაქვს? მხოლოდ მხედველობაში მიიღეთ, რომ ის სპეციალურად საზეიმო საღამოსათვის იყო შეგერილი და ამიტომ არ გაგაწყობინეთ. შედარებით სადა კაბა იყო საჭირო. ამას კი პრემიერასათვის ვიკვრავ, მაშასადამე, საჭიროა გავაწყვოთ რამით, თვალი გავახელიოთ. ფეიქრობ, ამ ნაქვრს ძლიერ მოუხდებდა სახლდარგარეთული გიპიური. ერთი სიტყვით, თქვენც იფიქრეთ, ცოტა ტინი გაანძრეთ, თავი რომ მოგაქვთ თბილისში პირველი მკვრავები ვართო, მაშ რით მოგაქვთ? ისეთი კაბა უნდა შემეკრეთ, რომ თვალი ყველას ზედ დარჩეს.

— კი ბატონო, მესმის თქვენი გაანძრების მიზეზი, მაგრამ ჩვენც უბრალონი ვართ ამ საქმეში, თქვენ უკეთ იცით, რომ ეხლა ომია. მთელი მსოფლიო ომშია ჩაბმული. მოდის ახალი ჟურნალებისათვის აღარავისა სცალია. ძველი რაც კი იყო და ჩვენ ვიცოდით, თითქმის ყოველნაირი კაბა შეგიკრეთ.

მხატვრებსაც, როცა კი მიგმართეთ, რომ მოეცათ რაიმე ახალი ლამაზი კაბის ესკიზი, სასაცილოდ არ ეყოთ. ჩვენი თემატიკა ეხლა სამამულო ომია, კაბები ისევე თქვენმა შემკვეთელებმა დახატონო.

— დაიკარგონ აქედან, დაუბეგვიათ ხელზე ომი და ენას არ მოაბრუნებენ ისე, რომ ომი არ ახსენონ. რადგანაც ომია მაშ ტიტვლებმა ვიაროთ, არა?

— ტიტვლებმა რათა, დმერთმა დაგვიფაროს სიტიტვლისაგან, — ჩაერია საუბარში ხანში შესული ქალი, რომელიც უკვე მეორე საათია იქ იჯდა და კაბის გასინჯვას ელოდებოდა. — ადამ და ევაც ვერ შეეგუა სიშიშველეს და ფოთლები დაიფარეს, ჩვენ რა გავგვირგებია ამოდენა ხალხში ტიტვლებმა ვიაროთ? მაგრამ ასე ზედმეტად გაგიყვება, ზოგიერთებს რომ მე აქა ვხედავ, რა თქმა უნდა, არ არის მოსაწონი.

— ეხ, თქვენ თქვენი დრო მოგიჭამათ და აღარაფერი გაინტერესებთ. აბა ერთი ჩვენი ტოლი იყვეთ თუ ჩამოგვრჩეთ.

— ჩემზე არ ითქმის თავის დრო მოუჭამაო, — ცოტა არ იყოს მეკვანდ უპასუხა დრომოკმულმა, — მაგრამ როცა თქვენოდენა ვიყავი, კაბების გიჟი არც მაჩინ ვყოფილვარ.

კოპწია ქალბატონი კი აღარ ცხრებოდა.

— რა უტვინოა ზოგი ადამიანი, პირდაპირ ძარღვებს მოგიშლის! ძლივს დროს მოიხელთავ, რომ სამსახურიდან გამოიხდეს და „პრემიერა“ გაიკეთო, მოხვალ აქ, გადაეყრები ასეთ ჩერჩეტ ვინმეს და მთელი დღე უნდა ნერვებმოშლილი იჯდე.

— გამარჯობა ლამაზო, — მიუახლოვდა გაანძრულ ქალბატონს ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი. — როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ? რამდენინანია შენთან გამოვლა მინდა, მომენატრე.

— კარგი ერთი შე ქალო, თუ გენატრები, მე რე ხელს რა გიშლის? სირბილი და სიარული შენ რომ იცი, იმისთანა უნდა.

— კი მაგრამ ამათი გადამიკდე სად წახვალ. სირბილისათვის აღარ მრჩება დრო. რამდენ კაბას შემეკვრავენ, თან გადამატანენ ხოლმე. აქედანა და ჩემამდე ხანდახან ორჯერ მიხდება მიმოსვლა.

— იმას იცნობ? — თვალით ანიშნა შავგვრემანმა ქალმა ვილაცაზე, რომელიც ბუღუარში იდგა და მკვრავს ესაუბრებოდა.

— ვინ არის, არ ვიცნობ.

— ვინ არის და ჩვენი უბნის ექიმია, დიდი „მოდნიცა“. ხომ ხედავ, ხუმრობით მკვრავს ფული ჩაუღო ჯიბეში.

— შენ რამდენს აძლევ ხოლმე თითო კაბის შეკვრავაში? — ჰკითხა მას, ვისაც ცოტახნის წინად ლამაზი უწოდა.

— მე? — გაიკვირვა მან — ეგლა მაკლია ფული მივართვა, მანამდე არაფერი ჰქამა მაგისმა ყბებმა. მე ერთი კაბისათვის ხუთი, ხან ექვსი მეტრი მატერია მომაქვს ხოლმე. აქედან სამი ჩემ კაბას უნდა, დანარჩენი მაგას რჩება. არა, მე ის მივიკვრის როგორ ბედავენ, რომ ჭრთამს აძლევენ. აქ ხომ არტელია!

— გამარჯობათ, — მიუახლოვდა მათ მსუქანი, დაბალ-დაბალი სქელი ქალი.

— ამას ხომ იცნობ, — უთხრა შავგვრემანმა მეორეს, შენი ყოფილი „ხაზეინის“ ცოლია.

— მაინც რაზე საუბრობდით ასე ტკბილად? — იკითხა ახლადმოსულმა.

— აი იმაზე, ეს ჩვენი მკვრავები სულ რომ წახდენენ, შემკვეთელებს სპეციალურ პაემანს უნიშნავენ ბუღუარში, რათა შეუმჩნევლად და მოხერხებულად აიღონ ჭრთამი.

— მე ის მივიკვრის ნეტავ რას უშვრებიან ამდენ ფულს? — სთქვა ახლად მოსულმა.


— რას უშვრებიან და... ხანში შესულმა ქალმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, აღბათ ხმამაღლა თქმა უხერხულად ჩათვალა და ყურში ჩურჩულით განუმარტა, თუ „რას უშვრებიან“ მკვრავები ფულს.

საუბარო აღბად არ გათავდებოდა, რომ მოსაუბრეთა ჯერი არ დამდგარიყო ბუღუარში შესვლისა.



— როგორ მალე გაგიზაფხულდება, ალფე!

— არა! ჩვენთან კანტორაში რევიზია მოდის და ცოტა მცხელა.



დაბალი შემკვეთელი: მე და იმ გოლიათს ორივეს ერთნაირი ორდერით გვიკერავთ?

მკერავი: შენ ეგა თქვი და! იმის სახელოდან შენ ორი შარვალი გამოგივა.

დიდი შემკვეთელი: ზო და თუ აგრეა, მე ორი კოსტუმში მეკუთვნის.

### კ უ რ კ ა ს

### პ რ ვ ე რ ი

„სამოდელი ფეხსაცმელების არტელი „არ ვატყუებთ“. შეკვეთა სრულდება პირიანად“.

ასეთი ლირიული წარწერა ამშვენებს ჩალიანის ქუჩის კუთხეში ფართომინებიან დარბაზებს. აქ ერთხელ ლუდს ჰყიდდნენ. შემდეგ სასაუზმოდ იყო, მერე საკომისიო მაღაზია გააღეს, ახლა კი—როგორც შემომოყვანილ წარწერიდან სჩანს, არტელია მოწყობილი სარეწაო კოოპერაციის მარკით.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად, რომ მისი აღწერა და მათიანეს ფურცლებზე აღბეჭდვა ფიქრადაც არავის მოსვლია. მაგრამ აი, ჩვენ უცბად გადავწყვიტეთ, რომ შემთხვევით შევცდარა!

არა, რატომ არ უნდა იცოდეს შთამომავლობამ, რომ მავან და მავან ალაგას არსებობს დაწესებულება, ესე იგი სახელოსნო-სავაჭრო წერტილი, რომელიც არც სხვას ატყუებს, არც თავს იტყუებს, გეგმებს-საც ასრულებს, სახელიც არტელისა აქვს და გამგეც ჰენჭიანი ჰყავს? დიას გამგე! სწორედ გამგეში მარხია... გოჭის თავი. ეს იმიტომ, პატივცემულნი, რომ ის გოჭებს ხშირად ვიხსენებთ—ხან შემწვარს ტყემლით, ხან მოხარულს—ხრებით და, როგორც სუფრის თამადა, გოჭის თავებსაც აკნატუნებს ხოლმე.

აი, ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სწორედ ჩემს პირდაპირ ზის „არ ვატყუებთ“-ის გამგე კურკა (ნამდვილ სახელს არ ვწერო. მიხოვა: „ნიანგში“ არ ჩამაგდოთ, თორემ სარეწაო საბჭოს მესვეურები გაიგებენ და ეწყინებათ, რომ მათი საიდუმლოება გაგიზიარეო). ზის კურკა, მაღიანად ილუქება და უმადურად ემასალათება გვერდზე მჯდომ „პრინციპალს“, უღვაშ-აპრეხილ ჭიჭიკოს, რომელიც, ეტყობა, მეზობელ არტელის მესვეური უნდა იყოს.

— იცი რას გეტყვი დასტონ ჭიჭიკოჯან?—მიმართავს კურკა,— ერთი დედინაცვალი ყოფილა ძველათა, იმან ერთი ჩვეულება ჰქონია.

— რაეა?—მიუგებს „დასტონი“ ჭიჭიკო.

— თურმე გაგზავნის მწყემსათ თავის გერსა, გუდაში ჩაუდებს მჭადის კუტსა და ეტყვის:

— წადი, გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც აჭამე და შინაც მთელი მოიტანეო.

— იმე, რაუფერ შეიძლება, ჩემო კურკა, მაგი მასთე?—გაიკვირვებს დასტონი ჭიჭიკო.

— ვა, მამაცხონებულო, რაფერ რომელია. ჩვენც ვგრე არა ვართ?

— რაფერ?

— იმფერ, რომა, ჩვენი დალოცვილი სარეწაო კოოპერაციის გამგეობაც გვებნება:

— არტელეოჯან, ნედლ მასალას არ მოგცემთ, ხმელ მასალასაც არ მოგცემთ, წადით, იმუშავეთ, ასი პროცენტით გეგმა მე შამისრულეთ, დანარჩენი თქვენ იცითო.

— შეთქი თუ მასალას არ მომცემ, როგორ უნდა შევასრულო?

— ქვა გახეთქე და ისეო?

დასტონი ჭიჭიკო იცინის:

— იმე, ვერ მიხვდი შე კაცო?—შეიძინე მასალა კერძო ბაზარზე, არტელის გეგმა შეუსრულე და იმის შემდეგ გაყიდე კერძო ფასებში და მოგებაც დაგრჩება.

ახლა კურკა იცინის:

— ეგ ხომ ვგრეა, სწორეთ ასე ვშვრები, მაგრამ ეს ხომ მოტყუება გამოდის?

— ვისი, ბოშო? სახელმწიფოს, ან სარეწაო კოოპერაციას ხომ არ ატყუებ, მყიდველს რომ მოატყუო, მაგი რა ცოდვაა?—მიუგებს დასტონი ჭიჭიკო.

— არა, მყიდველის მოტყუება რა ცოდვაა, მაგრამ ამბობენ დანაშაულიაო.

— ვინ ამბობს, ბოშო?


— ვინ და ჩვენი სარეწაოს მესვეურები.

— აბა, შე კაცო, მართლა დედინაცვლობა ხომ არაა. არც მოგცემ, არც დანაშაული ჩეიდინო და პლანებიც შემისრულეო, რაფერაა აგი?

— მეც იმას გებნები რალა, რაფერაა შეთქი? მაგრამ ისინი იძახიან, თუ ქვა გახეთქეო,—ქვას რა თავში ვიხლიო? ისევე მომხმარებლის ჯიბე ვასკდეს არ მიჩვენია? მეც ამილია და ასე ვშვრები: გარედან სარეწაოს აბრა მიმიკრავს—შიგნიდან კურკას არტელი მაიწყვია.

სიტყვებზე კურკაც და დასტონი ჭიჭიკოც იცინიან.

ჩვენ გვანტერვებს, სარეწაო კოოპერაციის მესვეურთ რა გუნებაზე აყენებს ეს სიცილი?



ნახ. ღონისა

გაზეთთან ერთად

ნიანგი



1. ასე გამოიყურებიან „ფრონტისკენ მიმავალი“ გერმანიის ახალი „რეპერტები“ ლტოლვილებთან შეხვედრამდის და...



2. ლტოლვილებთან შეხვედრის შემდეგ...

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, ვრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 29/III. სახ. ლ. პ. ბერიას პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. გამოც. № 17. შეკ. № 329, უე № 01720